



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020121473997519

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 1221/ს

30 / სექტემბერი / 2019 წ.

შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ზე (ს/კ 405055550) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების N1001285 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 29 აგვისტოს N1105/ს ბრძანების საფუძველზე დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ზე (ს/კ 405055550) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების N1001285 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აგვისტოს N1956 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის, შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე N1105/ს ბრძანებით განისაზღვრა დაინტერესებულ პირის - შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მხრიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრების წარმოდგენის უფლებამოსილება.

აღნიშნული ბრძანება მხარეს გაეგზავნა გასაცნობად 2019 წლის 2 სექტემბრის N22/6614 კორესპონდენციით, რომლითაც კომპანიას მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა პოზიცია საკითხთან დაკავშირებით. ამავე კორესპონდენციით მხარე მოწვეულ იქნა ზეპირი მოსმენის სხდომაზე, რომელიც უნდა გამართულიყო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და მის თარიღად განსაზღვრულ იქნა 2019 წლის 10 სექტემბერი. კორესპონდენცია გაგზავნილ იქნა შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის იურიდიულ მისამართზე, თუმცა იგი მხარეს არ ჩაბარდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განმეორებითი შეტყობინება გაგზავნილ იქნა მხარესთან სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სხდომა 2019 წლის 9 სექტემბრის N22/6776 კორესპონდენციით, რომლის თანახმადაც, ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 17 სექტემბერი. აღნიშნული კორესპონდენციაც გაგზავნილ იქნა კომპანიის იურიდიულ მისამართზე. ეს უკანასკნელიც მხარეს არ ჩაბარდა.

ადმინისტრაციული წარმოების მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით, სააგენტოს მხრიდან, 2019 წლის 19 სექტემბერს სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ იქნა ბრძანება „შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ზე (ს/კ 405055550) გაცემული სასარგებლო წიალისეულის მოპოვების (N1001285) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

აღნიშნულის მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენელთა მხრიდან არ მომხდარა არანაირი რეაგირება, ამ დრომდე სააგენტოში არ ფიქსირდება კომპანიის მხრიდან განხორციელებული არც ერთი მომართვა საკითხთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება.

საქმისთვის მნიშვნელობის მქონეა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 22 მაისის N04 ბრძანების საფუძველზე, „შპს „მულტი მეტალი“-ზე (ს/კ 202261319) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ართანას მიმდებარე ტერიტორიაზე „ართანას“ მადანგამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით, 3,5 ჰა ფართობზე, 20 წლის ვადით. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა ლიცენზიის მფლობელის ვალდებულებები, მათ შორის: ლიცენზიის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იყო საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩაეტარებინა დეტალური საძიებო სამუშაოები, სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით, ლიცენზიის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარმოედგინა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში, რომლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა შესაძლოა განხილულ იქნეს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველად.

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 2 სექტემბრის N272 ბრძანების საფუძველზე, „შპს „მულტი მეტალი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია მთლიანად საკუთრებაში გადაეცა შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს. ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს დაევალა „შპს „მულტი მეტალი“-ზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 22 მაისის N04 ბრძანებით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობებისა და სარგებლობისთვის დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე, დღეის მდგომარეობით, შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #1001285 ლიცენზიას თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ართანას ტერიტორიაზე „ართანას“ (ძარღვი - "კუმენჩინაი") მადანგამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით.

შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიმართ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის და შემდგომ, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, არაერთგზის გამოვლინდა სალიცენზიო პირობების დარღვევები, კერძოდ:

სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიმართ, ყოველი წლის 01 დეკემბრამდე შესასრულებელი სალიცენზიო პირობის, მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2014 წლის 19 თებერვალს #003015 ოქმი, 2015 წლის 25 თებერვალს #005972 ოქმი, 2016 წლის 08 თებერვალს #021895 ოქმი და 2017 წლის 17 მარტს #034783 ოქმი, ხოლო, 01 აპრილიდან 01 მაისამდე სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების წარმოდგენლობის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები: 2014 წლის 04 აგვისტოს #007723 ოქმი, 2015 წლის 29 ივლისს #018005 ოქმი და 2016 წლის 02 აგვისტოს #025262 ოქმი.

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ, 2018 წლის 15 ივნისს შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #044694 ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობის, 2017 წლის 01 დეკემბრამდე 2018 წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის და 2018 წლის 01 აპრილამდე 2017 წელს შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენლობის გამო. თელავის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 02 აგვისტოს № 4/403-18 დადგენილებით შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს ცნო სამართალდარღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ -ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში - 2018 წლის 01 აპრილამდე 2017 წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენლობის ნაწილში, ამავე კოდექსის 22- ე მუხლის საფუძველზე გაათავისუფლა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ხოლო, 2017 წლის 01 დეკემბრამდე 2018 წლის სამუშაო გეგმის და ბიუჯეტის წარმოდგენლობის და ლიცენზიის გაცემიდან 3 წლის ვადაში სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობის ნაწილში, შეწყვიტა საქმის წარმოება ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის გასვლის გამო. თელავის რაიონული სასამართლოს დადგენილება გასაჩივრებულ იქნა სააგენტოს მიერ სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 05 ნოემბრის #4ა/479-18 დადგენილებით არ დააკმაყოფილა საჩივარი და უცვლელი დატოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აგვისტოს დადგენილება.

სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, სააგენტოს მიერ გატარდა შემდგომი ღონისძიებები. კერძოდ: 2019 წლის 25 მარტის #000066 ადმინისტრაციული მიწერილობით შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს განესაზღვრა მიწერილობის ჩაბარებიდან 15 კალენდარული დღის ვადა სალიცენზიო პირობის შესასრულებლად, 2017 წლის შესრულებული სამუშაოების და ბიუჯეტის ანგარიშის წარმოსადგენად. ადმინისტრაციული მიწერილობა ლიცენზიის მფლობელს ჩაბარდა 2019 წლის 12 აპრილს, თუმცა ვალდებულება დღეის მდგომარეობითაც არ აქვს შესრულებული.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ს არ ჰქონდა წარმოდგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში დასამტკიცებლად, 2019 წლის 18 თებერვლის #22/872 წერილით

განესაზღვრა 2 თვიანი ვადა მარაგების ანგარიშის წარმოსადგენად. წერილი ჩაბარდა 2019 წლის 21 თებერვალს, თუმცა კომპანიას მარაგების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება დღეის მდგომარეობითაც არ აქვს შესრულებული.

ადმინისტრაციული მიწერილობით და წერილით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამოვლენის დროისათვის, კომპანიის რეგისტრირებულ მონაცემებში განხორციელდა ცვლილების რეგისტრაცია, კერძოდ, შეიცვალა ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ვერ განხორციელდა მასთან დაკავშირება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის თაობაზე ინფორმირებულობის მიზნით.

ამასთან, 2019 წლის 07 თებერვალს შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიმართ, 2018 წლის 01 დეკემბრამდე 2019 წლის გეგმა და ბიუჯეტის წარმოდგენლობის გამო, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001002 ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის #4/1311-19 დადგენილებით შპს "ჯეომეტალ GEOMETAL" ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. ასევე, 2019 წლის 12 აპრილს შპს „ჯეომეტალ GEOMETAL“-ის მიმართ, 2019 წლის 01 აპრილამდე 2018 წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიშის წარმოდგენლობის გამო, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #001106 ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 ივნისის #4/4326-19 დადგენილებით შპს "ჯეომეტალ GEOMETAL" ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული საქმის განხილვისას, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა იქნა მიღებული ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის გაფრთხილებისა და სასამართლო სხდომაზე გამოცხადების მიზნით, თუმცა, მიუხედავად გატარებული ზომებისა, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და სასამართლო სამართალდარღვევის მასალები განიხილა მის დაუსწრებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა და დაჯარიმებების შემდგომ არცერთი სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული. ასევე, დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება, რომ კომპანიას არ უნარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, კომპანიას არ წარმოდგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწყია წიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღით რაციონალური სარგებლობა.

ამასთან, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 22 მაისის #04 ბრძანების 1 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაცემიდან 3 წლის განმავლობაში სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. ამკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელის კვლავ დაჯარიმებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი შედეგი, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელების დადების შემდგომაც, კომპანიას არ შეუსრულებია არცერთი სალიცენზიო პირობა.

ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹, მე-11 პუნქტებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,


ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მულტი მეტალი“-ზე (ს/კ 202261319) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2013 წლის 22 მაისის N04 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მულტი მეტალი“-ზე (ს/კ 202261319) 26.06.2013 შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001176 ლიცენზიის შპს

„ვეომეტალ GEOMETAL“-ზე (ს/კ 405055550) საკუთრებაში მთლიანად გადაცემის შესახებ” სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 2 სექტემბრის N272 ბრძანება;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001285 ლიცენზია;
4. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
5. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

მაია ზავრაშვილი